

ინტერნეტ ოლიმპიადა 2014-ის მეორე ტურის ტესტურ დავალებათა ნიმუშები

ქართული ენა და ლიტერატურა

ნიმუში

- დავალება N1

წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხეთ დასმულ შეკითხვას. თითოეული შეკითხვა ფასდება 1 ქულით. არასწორი პასუხის შემთხვევაში დაგაკლდებათ 0.2 ქულა, ანუ დაგეწერებათ - 0.2

ნიჰილიზმი

„ნიჰილიზმი“ მოკლედ და ზოგადად იმ მდგომარეობას აღნიშნავს, როცა ადამიანი მხედველობიდან კარგავს ცოცხალი ორგანიზმის სახით შემთხვევითი და წარმატებული არსებობის იქით „სხვა არსებობისადმი“, მარადისობისადმი ზიარებისა და, ამგვარად, ამაღლების პერსპექტივას. როცა ცოცხალი ორგანიზმის სახით არსებობის იქით გასვლის პერსპექტივა დახშული ჩანს, ადამიანი თავდავიწყებით ეძლევა ამ არსებობის განმტკიცებაზე ზრუნვას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ნივთიერი ქონებისა და კომფორტულ-ფეშენებელური ცხოვრების კულტის სახით იჩენს თავს.

1. რა არის მოცემული აბზაცის უმთავრესი აზრი?

- ა) „ნიჰილიზმი“ კომფორტული ცხოვრების გაღმერთებას იწვევს.
- ბ) „ნიჰილიზმი“ „მარადისობისადმი ზიარების“ პერსპექტივას ბადებს.
- გ) „ნიჰილიზმი“ სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას იწვევს.

პროგრესი

„პროგრესს“ კაცობრიობა ცხოვრების ხარისხის კატასტროფული დაქვეითებისაკენ მიჰყავს... თავისი გარემომცველი სამყაროსადმი გულგრილი რომ ხდება, ადამიანს აღარაფერი ახარებს მასში და, მაშასადამე, მისი ცხოვრება, როგორც „სამყაროში-ყოფნა“, სრულიად უსიხარულო, უხალისო და უგემური ხდება. „პროგრესი“ განუხრელად ახორციელებს ადამიანური კავშირებისა და ურთიერთობების რღვევასა და ნგრევას; იგი არღვევს ადამიანის შინაგან კავშირს საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, ხალხთან, წარსულთან, სამშობლოსთან, ბუნებასთან, დედამიწასთან.

2. რა არის მოცემული აბზაცის უმთავრესი აზრი?

- ა) „პროგრესი“ ადამიანის ბედნიერების საფუძველია.
- ბ) „პროგრესი“ არღვევს ადამიანის კავშირს წარსულთან.
- გ) „პროგრესს“ ადამიანისათვის ბედნიერება არ მოაქვს.
- დ) „პროგრესი“ სრულიად უმნიშვნელოა ადამიანის ცხოვრებაში

